

პოლიფონია, როგორც ქართული ტრადიციული მუსიკალური აზროვნების ძირითადი კატეგორია

დაიწყო XXI საუკუნე, მესამე ათასწლეული ქრისტეს აქეთ და ქართული მუსიკალური კულტურაც თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. როგორც ნებისმიერი უძველესი მუსიკალური კულტურა, ქართულიც მრავალმრიანი მოვლენაა და მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შრეს ტრადიციული მუსიკა წარმოადგენს. ტრადიციული მუსიკის ქვეშ ქართულ სინამდვილეში მოიაზრება ორი, დროსა და სივრცეში განფენილი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენა — მრავალხმიანი სიმღერა და მრავალხმიანი გალობა.

საზოგადოდ, კულტურა უნდა განვიხილოთ, როგორც ეთნოსის ერთიანი ცნობიერების სამყაროსთან ურთიერთობის მთლიანი სისტემა, რომელშიც ერის ისტორიულ-კულტურული განვითარების პროცესი ბუნებრივად გამოკვეთს ორ შრეს. ამ შრეების დასახასიათებლად მეცნიერები ხმარობენ ცნებებს „მოსახმარი“ და „სიმბოლური“ (ნათაძე, 1988), რომლებიც მუსიკალური კულტურის არსის მახასიათებლებადაც გვევლინებიან: მუსიკალური კულტურაც ასიმბოლოებს იმას, რაც ამ კულტურის შემქმნელს სხვა კულტურის შემქმნელისაგან განასხვავებს; და მუსიკალური კულტურაც მონაწილეობს ე.წ. „მოსახმარ კულტურაში“, რომელშიც ეთნოსის ცხოვრების დამახასიათებელი ნესია განხორციელებული.

კულტურის სიმბოლური და მოსახმარი მნიშვნელობები ერთმანეთს არ ემთხვევა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, „სიმბოლური“ კულტურის ცნება ვერ იტევს კულტურის მთელ სისტემას, რომელიც აუცილებლად გულისხმობს კულტურის ე.წ. „მოსახმარ“ დონესაც. ამ უკანასკნელის დონეზე კულტურა არაეთგვაროვანია, ასახავს ბგერადი სინამდვილის მთელს სპექტრს და სხვადასხვა სოციო-ისტორიულ ვითარებაში ხშირად ერთობ ქრელ სურათსაც იძლევა. „მოსახმარი“ კულტურის ცნება უფრო ფართოა, იგი არსებითად მთელს კულტურას მოიცავს, აირეკლავს კულტურის ქმნადობის მუდმივ პროცესს, რომელშიც ყველაფერთან ერთად უცხოკულტურულ ტრადიციებთან ურთიერთობის დიალექტიკაც არის რეალიზებული. სწორედ „მოსახმარ“ დონეზე ხორციელდება ეთნოსის მუსიკალური ცნობიერების მიერ მისთვის მისაწვდომი სხვაეთნიკური მხატვრული მოვლენების აღქმა. ეს პროცესი ეთნოსისათვის თვალსაწიერის გაფართოების საშუალებაა, მისი მუსიკალური აზროვნების განვითარების აუცილებელი პირობა.

რაც შეეხება „სიმბოლურ“ კულტურას, მასში თავს იყრის „მოსახმარის“ დონეზე ჩამოყალიბებული ღირებულებების გარკვეული ნაწილი. ეს პროცესი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: „მოსახმარიდან“ „სიმბოლურში“ გადადის ის, რაც კერძო მნიშვნელობას სცილდება, განსაკუთრებულისა და ზოგადის კატეგორიებით აღინიშნება და, შესაბამისად, ეროვნული კულტურის „სრულყოფილებიანი წარმომადგენლის“ მნიშვნელობას იძენს. ამრიგად, სიმბოლურ კულტურაში გროვდება ყველაფერი, რაც ერის სულიერებისა თუ მისი მატერიალური

ყოფიერების სპეციფიკურობის ნიშნითაა აღბეჭდილი და განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს.

მაგალითად, შუასაკუნების ქართული ლიტერატურის ძეგლები მოწმობენ, რომ ამ პერიოდის ქართულ სინამდვილეში „მოსახმარის“ დონეზე, ე.ი. ყოფაში (წარჩინებულთა კარზე და ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში) ინტენსიურად ჟღერდა აღმოსავლური მონოდიური მუსიკა (ბახტაძე, 1985), რომელიც პრაქტიკულად არ მონაწილეობს ძველი საქართველოს სიმბოლურ კულტურაში — გლეხურ მრავალხმიანობასა და საეკლესიო ვოკალურ პოლიფონიაში.

სიმბოლური კულტურა ტრადიციის ყველაზე მყარი მატარებელია. იგია სწორედ, რასაც ტრადიციულ კულტურას ვეძახით, რაც საუკუნეების მანძილზე გადადის თაობიდან თაობაში და ეროვნული კულტურის სახეს ქმნის, მის თვითმყოფ ბუნებას წარმოაჩენს. ტრადიციულ მუსიკალურ აზროვნებას აქვს გენეტიკურ-ისტორიული მეხსიერება, რომელიც უზრუნველყოფს მის უწყვეტობას, ეროვნული მუსიკალური „პირველგანცდის“, „პირველსახის“, კოლექტიურ ცნობიერებაში ჩამოყალიბებული და მრავალგზის განმეორებული არქეტიპის მონაწილეობას მასში.

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები ადასტურებს, რომ ჩვენი მუსიკალური კულტურის, როგორც თვითმყოფი ფენომენის ჩამოყალიბება ისტორიულად უძველესი წინააზიური ცივილიზაციების ნიაღში მოხდა და მას, როგორც ამ ცივილიზაციის ნაწილს, ერთხელ შემუშავებული მხატვრული კანონებისა და პრინციპების ერთგულება ახასიათებდა. სწორედ ამისა და თავისი განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ქართულმა ტრადიციულმა მუსიკალურმა აზროვნებამ XX საუკუნემდე შემოინახა, როგორც ქართული ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი და არაყიშვილი თითქმის საუკუნის წინ ამბობდა, „მეტად ძვირფასი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ დაახლოებით როგორი უნდა ყოფილიყო ღრმა წარსულში ზოგადად ქართველური სიმღერა“ (Áðàãèè àèèè, 1946:5). საინტერესო ისაა, რომ მუსიციერების ჩვენამდე მოღწეულ პრიმიტიულ, „პირველად“ ფორმებში თითქმის ყოველთვის მჟღავნდება მზაობა ბურდონული მრავალხმიანობისათვის, სადაც მხოლოდ „შებანებაა“ საჭირო, თუმცა კი ორხმიანად არ მღერიან. ამრიგად ქართული მუსიკალური ძეგლები საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ ეროვნული ტრადიციული მრავალხმიანობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივ გზას, როგორც თანმიმდევრულ პროცესს. რაც შეეხება მის ადგილობრივ წარმომავლობას, ამის დამადასტურებელი მრავალი და, მათ შორის, არაქართველი მეცნიერის თვალსაზრისი არსებობს.

ქართული მრავალხმიანობის ხანიერებაზე ზუსტი მითითება, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების ერთ-ერთ უადრეს ეტაპზე – წარმართულ ეპოქაში ჩამოყალიბდა, მანამ, სანამ საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდებოდა სახელმწიფო რელიგიად (ჩ.წ. IV ს.).

რა გვაძლევს ასეთი მტკიცების უფლებას?

მსჯელობის ლოგიკა ასეთია:

ეთნოსის ერთად ჩამოყალიბების წინაპირობა ერთიან ეროვნულ ცნობიერებაზე დამყარებული კულტურული ერთიანობაა. ასეთი ერთიანობა, როგორც იდეოლოგიური მრწამსი, არა მხოლოდ (და არა იმდენად) თეორიულად გაცნობიერებული, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობის იმპულსი, საფუძვლად დაედო ქართველთა წინაპრების სწრაფვას ერთიანი ქართული სახელმწიფოსაკენ ძვ. წ. III საუკუნეში. ფარნავაზის ქართული სახელმწიფო შეიქმნა ოდესღაც ერთიანი ეთნიკური ჯგუფის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად დაქსაქსულ ქართველთა ნებაყოფლობით გაერთიანების შედეგად (მროველი, 1987) რაც მათ მაღალ ეროვნულ-კულტურულ თვითშეგნებაზე მეტყველებს. ცნობიერება მთლიანი მოვლენაა და ამიტომ ამ დროისათვის ეროვნული მხატვრული ცნობიერების ჩამოყალიბებაც უნდა ვივარაუდოთ. ამ დროისათვის ქართული მუსიკალური აზროვნებაც უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული, როგორც გარკვეული მუსიკალურ-პოეტური სემანტიკის მქონე სისტემა, რომელსაც ორიგინალური მუსიკალურ-გამომსახველობითი სტრუქტურა, მუსიკალური მასალის ორგანიზაციის საკუთარი პრინციპები გააჩნდა. ამ პრინციპებში იყო რეალიზებული ეროვნული მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება, რომლის მუსიკალური მახასიათებლების — ინტონაციის, რიტმის, კილო-ჰარმონიის სპეციფიკურობა აკუმულირებული იყო მრავალხმიან წყობაში. თითქოს დღეს ძნელია ვილაპარაკოთ იმ უძველესი სიმღერების თვითმყოფადობაზე, ქართველთა წინაპრები რომ მღეროდნენ, მაგრამ უძველეს წყაროებში (ქსენოფონტე, ძვ.წ.V საუკუნე) ხაზგასმითაა აღნიშნული მათი სიმღერებისა და ცეკვების „რალაც განსაკუთრებული ყაიდის“ შესახებ. ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ქსენოფონტეს ამ ცნობას წარმართული ქართული სიმღერების მრავალხმიანობის საბუთად მიიჩნევს, ზოგიერთი — არა (ასლანიშვილი, 1954:12). მართლაც, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ „განსაკუთრებულობაში“ ბერძენი ისტორიკოსი მრავალხმიანობას გულისხმობდა, მაგრამ ის კია სავარაუდო, რომ უკვე იმ დროისათვის ქართული სიმღერა მრავალხმიანი იყო, რადგან ამ „განსაკუთრებულმა“ სასიმღერო კულტურამ რამდენიმე საუკუნის შემდეგ მთელს მონოდიურ ქრისტიანულ სამყაროში გამორჩეული ქართული მრავალხმიანი გალობის თვითმყოფადი სახე განაპირობა.

ამრიგად, შუასაუკუნეების ქრისტიანულ მუსიკალურ კულტურაში ქართული გალობის უნიკალობას მისი მრავალხმიანი წყობა განაპირობებს.

თავის მხრივ, წყობა, როგორც პოლიფონიური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია, „მუსიკალური მატერიის“ თავისებურებას განსაზღვრავს. მაგრამ წყობა მეტია, ვიდრე მხოლოდ მუსიკალური გამოსახვის საშუალება. მასში განხორციელებულია ქართველთა მიერ სამყაროს აღქმის სპეციფიკური იდეა, რადგან მხატვრული აზროვნება და, მით უფრო, საკულტო-რელიგიური, სიმბოლოების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სისტემას ემყარება. ამ იდეის სპეციფიკურობას ეროვნული მხატვრული წარმოდგენები ასაზრდოებენ, ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ ეთნოსის მსოფლადქმის კონკრეტულ მუსიკალურ გამოხატულებად ქართულ სინამდვილეში სამხმიანი ქორალი იქცა.

ისტორიულად ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მიხედვით, ქორალური

საწყისი სულიერისა და ზნეობრივის კატეგორიებს უკავშირდება, რის გამოც შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა საუკუნეების მანძილზე ეროვნული სულიერებისა და მაღალზნეობრიობის სიმბოლოდ ჩამოყალიბდა. ამასთან, ქართული ვოკალური პოლიფონია, რომელიც დასაბამს წარმართულ ეპოქაში იღებს, წინარექრისტიანული და ქრისტიანულ-ეპოქალური მუსიკალური ცნობიერების სიმბოლოა, რომელშიც რეალიზებულია ეროვნული მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება და წარმოადგენს ორიგინალურ ფენომენს, რომელშიც განსხვავებულია სულიერისა და ზნეობრივის ის განსაკუთრებულობა, ქართველმა ერმა თავის დროზე რომ შეიტანა კულტურულ ღირებულებათა საგანძურში. სამწუხაროდ, თავად კაცობრიობამ ჯერჯერობით ძალიან ცოტა იცის ამ მონაპოვრის შესახებ.

პოლიფონია, როგორც აზროვნების კატეგორია, მხოლოდ მუსიკის საკუთრებას არ წარმოადგენს. XX საუკუნეში უკვე დაიწყეს ლაპარაკი პოლიფონიურ აზროვნებაზე ლიტერატურაში, თეატრში (კაკაბაძე, 1987:6; *Áãðèí*, 1975:50). მაგრამ როგორც საზოგადოდ მხატვრული აზროვნების კატეგორია, იგი წარსულ ეპოქებშიც რომ არსებობდა, ამის დასტურს თუნდაც ქართული მხატვრული აზროვნება გვაძლევს. სწორედ იმ პერიოდში, როცა ქართულმა გალობამ თავისი კლასიკური მრავალხმიანი სახე მიიღო (X-XI საუკუნეები), პოლიფონიურობა, როგორც ეროვნული მხატვრული აზროვნების თავისებურება, იოანე პეტრიწმა საფუძვლად დაუდო ღვთაებრივი სამების ჰარმონიული ერთიანობის მუსიკალურ ანალოგიას (ნუცუბიძე და ყაუხჩიშვილი, 1937: XVIII; იხ. აგრეთვე ნ. ფირცხალავა ამ გამოცემაში). იგი მთელი სისრულით გამოვლინდა ქართული რენესანსის შედეგში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, როგორც სამყაროს „უთვალავი ფერით“ ხედვის უნარი. მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ ყველაზე უფრო სრულყოფილად პოლიფონიურობა ქართულ მუსიკალურ კულტურაშია რეალიზებული, როგორც ქართველთა მსოფლალქმის მხატვრულ-მუსიკალური ფორმა.

ამასთან, პოლიფონიურობა ეროვნული მუსიკალური აზროვნების ძირითადი კატეგორიაა, მაგრამ არა მისი განსაკუთრებულობა. მის განსაკუთრებულობას შეადგენს პოლიფონიური წყობის იმანენტურ კილო-ჰარმონიულ და რიტმულ-ინტონაციურ სტრუქტურათა ერთობლიობა და მასში ჩადებული ერის მუსიკალური მსოფლალქმის ადეკვატური მხატვრულ-ესთეტიკური შინაარსი, რომელიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად აირეკლება მხატვრულ მოვლენაში და ქმნის იმ სპეციფიკურ სულისკვეთებას, ამ მოვლენას უცხოკულტურულსაგან რომ გამოარჩევს.

ქართველი ერის სიმბოლურ კულტურად ქცეულ ქართულ ტრადიციულ პოლიფონიას დღეს დიდი განსაცდელი ადგას. მას შეექმნა საშიშროება დაკარგოს ე.წ. „სახმარი“ ღირებულება, ანუ დაკარგოს მისი **გამოყენების ტრადიცია** და ამდენად, პრაქტიკულად დაკარგოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი ასპარეზი. სიმბოლოდ არსებობა კი კულტურას არ შეუძლია ამ ასპარეზის გარეშე.

დამონმებული ლიტერატურა

ასლანიშვილი, შალვა. (1954). *ქართული ხალხური სიმღერის ნარკვევები*. ტ. I. თბილისი: ხელოვნება.

ბახტაძე, ინგა. (1985) საერო ტენდენციების პრობლემისათვის ძველ ქართულ მუსიკალურ-ესთეტიკურ კულტურაში. კრებულში: ტორაძე, გულბათ. (რედ). *ქართული მუსიკის სტილისა და დრამატურგიის საკითხები*. სამეცნიერო შრომები. (გვ.გვ. 125-131) თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

კაკაბაძე, ზურაბ. (1987). *ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა*. თბილისი: მეცნიერება.

მროველი, ლეონტი. (1987). ცხოვრება მეფეთა. კრებულში: სირაძე, რევაზ. (რედ). *ქართული მწერლობა*. ტ. I. (გვ.გვ. 49-58). თბილისი: ნაკადული.

ნათაძე, ნოდარ. (1988). *ერი და ეროვნული კულტურა*. თბილისი: მეცნიერება.

ნუცუბიძე, შალვა და ყაუხჩიშვილი, სიმონ. (1937). იოანე პეტრიწი და მისი „განმარტებაი“. კრებულში: *იოანე პეტრიწი. შრომები*. ტ. II. (გვ.გვ. IX - XII). თბილისი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Àðàèèè àèèè, Àì èòðèè. (1946). *Í ãííãí ãí ñí àÿ è òí òí ààÿ í ãñí ÿ Áí ñò í ñí é Áðóçèè. Õàèèèèè: Ì óçò ìí ä Áðóçèè.*

Áàðòèí, Ì èòàèè. (1975). *Í òí áèàí à íí ÿò èèè Áí ñò í ááññí ãí. Ì ñèàà: Õàíí ãñíòááí í àÿ èèèáðàòòðà.*